

ნუგზარ ამილახვარი  
გიორგი ამილახვარი

ხელნაწერის უფლებით

# შესავალი ინტერნეტში

(უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის)



თბილისი - 2013

სახელმძღვანელოში მოცემულია ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, თბილისის და სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ინჟინერის ფაკულტეტის დეკანის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის, კომპიუტერული მეცნიერების პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელის, მომაცემთა ბაზების მიმართულების უფროსის, კომპიუტერული მეცნიერების სრული პროფესორის ნუგბარ ამილახვარის და მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის საქართველოს სამთავრობო კანცელარიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი სპეციალისტის, თბილისის და სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა ასისტენტ პროფესორის გიორგი ამილახვარის ერთობლივი სახელმძღვანელო, რომელშიც გამომცემულია მრავალწლიანი (20 წელზე მეტი), მეთოდურად დამუშავებული, ლექციების კურსი.

სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია ინტერნეტზე, ინტერნეტის ბროუზერებზე, ინტერნეტში საძიებო სისტემებზე და ელექტრონული ფოსტით სარგებლობის უნარ-თვისებებზე.

წიგნი, ძირითადად, განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ასევე მოცემული წიგნით შეუძლიათ იხელმძღვანელონ იმ პირებმაც, რომლებსაც არ გააჩნიათ კომპიუტერთან ურთიერთობის გამოცდილება.

ავტორები წინასწარ უხდიან მაღლობას წინადადებებისათვის და შენიშვნებისათვის, რომელიც შეგიძლიათ გამოაგბავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე [nukriami@gmail.com](mailto:nukriami@gmail.com) ან პირდაპირ ურთიერთობების ტელეფონზე: (599) 559901.

**ISBN 978-9941-0-5728-1**

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნება ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## ინტერნეტის საფუძვლები

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების სხვა საშუალებებთან ერთად (როგორიცაა ჟურნალები, გაზეთები, რადიო, ტელევიზია და სხვ.) სულ უფრო და ურო დამკვიდრა ადგილი ინტერნეტმა, რომელსაც არ გააქმნია არანაირი საზღვარი მთელი პლანეტის მცხოვრებების ინფორმაციის ურთიერთგაცვლისათვის.

1989 წელს ტიმ ბერნერს ლიმ (Tim Berners Lee), რომელიც მუშაობდა ბირთვული გამოკვლევების ეროვნულ ორგანიზაციაში (CERN), და სხვა მეცნიერებმა შექმნეს მსოფლიო ქსელის კონსორციუმი (World Wide Web Consortium), რომელსაც უწოდებდნენ - W3C, შემდგომ ყველაზ გაიცნო როგორც WWW. იგი პირველ ხანებში შეიქმნა როგორც მრეწველობის კონსორციუმი.

მსოფლიო ქსელის კონსორციუმი არის საერთაშორისო კონსორციუმი, რომელშიც როგორც დამფუძნებლები, ასევე ნებისმიერი მისი მომხმარებელი ცდილობები განავითარონ ერთი მიმართულებით ქსელის სტანდარტები, პროტოკოლები, მართვის პრინციპები, პოტენციალი და სხვ., რათა არ მოხვდეს ქსელის სხვადასხვა სახით დანაწევრება და განხორციელდეს მისი მრავალხნიანი უპრობლემო განვითარება. 1994 წლიდან კონსორციუმმა გამოსცა 110-ზე მეტი ასეთი სტანდარტი, რომლებსაც უწოდებენ W3C-ს რეკომენდაციებს.

კონსორციუმი ღია ფორუმების მეშვეობით კონსორციუმი ღია ფორუმების მეშვეობით განიხილავს ქსელის განვითარების ძირითად მიმართულებებს და პრინციპებს, რათა იგი აკმაყოფილებდეს თავსებადობას როგორც ყველა აპარატურულ ტექნოლოგიებს, ასევე ნებისმიერ პროგრამულ უზრუნველყოფის სისტემებს და ამით არ უნდა დაუშვას ქსელის ფრაგმენტებია.

W3C-ს გლობალური ინიციატივები აგრეთვე შეიცავენ კავშირებს ყველა ნაციონალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მთელს მსოფლიოში.

## საძიებო სისტემები

ინტერნეტის ძირითადი დანიშნულებებია სასურველი ინფორმაციის მოძიება/გამოქვეყნება და ელექტრონული წერილების მიღება/გაგზავნა.

განვიხილოთ ეს ორი ნაწილი ცალცალკე.

ინფორმაციის მოძიებისათვის გამოიყენება საძიებო სისტემები, რომლებიც საკმაოდ ბევრია ინტერნეტში: Google, Live Search, Yahoo, Lycos.com და სხვ.

განვიხილოთ ერთერთი მათგანი (მაგ., Google), რადგან ძირითადი პრინციპები ყველასათვის ერთია.

საძიებო სისტემაში შესვლისათვის მომხმარებელმა უნდა აკრიფოს სამისამართო სტრიქონში "<http://www.google.ge/>".



შესაძლებელია უფრო მოკლედ დაწერა (მაგ., „www.google.ge“ ან სულაც „google.ge“), რადგან შეღები ერთია.

ეკრანის შუაში გამოსახულ სტრიქონში მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს საძიებო სიტყვა ან წინადადება, რომელიც უფრო კარგად აღწერს საძიებო ინფორმაციას და დაპიროს დილაკს **Google** ძებნა.

დილაკის დაჭერის შემდეგ გამოისახება გვერდი სადაც ჩამოთვლილია ყველა ის ინტერნეტ-მისამართები, რომლების აკმაყოფილებენ საძიებო ინფორმაციის კრიტერიუმებს ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების სიძლიერის მიხედვით.

თუ მომხმარებელი დააჭერს დილაკს **იღბალს მიგენდობი**, პირდაპირ გადავა იმ ინტერნეტ-გვერდზე, რომელიც ძებნაში პირველი იქნებოდა.


საძიებო სტრიქონის ქვემოდ ჩასართავია თუ სად განახორციელოს ძებნა: მთელ **ინტერნეტში** თუ მსოლოდ **საქართველოს** ვებსივრცეში, ხოლო მარჯვნივ გამოსახულია სამი სტრიქონი: **გაძლიერებული ძებნა, პარამეტრები და ენათა ინსტრუმენტები**.

თუ მომხმარებელი დააჭერს **გაძლიერებულ ძებნას**, მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიც შესაყვანია **დეფალური ძებნის** პარამეტრები.

ფანჯარის პირველი ნაწილი **იპოვე შეღები** შედგება ოთხი სტრიქონისაგან.

პირველ სტრიქონში **ყველა სიტყვის გათვალისწინებით** მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს ყველა ის ცალკეული სიტყვა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მოძიებულ ინტერნეტ-გვერდზე.

მეორე სტრიქონში **ზუსტი ფრაზის გათვალისწინებით** მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს ის ფრაზა, რომელიც მოძიებულ ინტერნეტ-გვერდზე ზუსტად ასევე იქნება გამოსახული.



მესამე სტრიქონში **რომელიმე სიტყვის გათვალისწინებით მომ- ხმარებელმა უნდა შეიყვანოს ყველა ის ცალკეული სიტყვა, რომელიც სასურველია იყოს მოძიებულ ინტერნეტ-გვერდზე.**

მეოთხე სტრიქონში **გამორიცხე სიტყვები** მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს ყველა ის ცალკეული სიტყვა, რომელიც არ უნდა იყოს მოძიებულ ინტერნეტ-გვერდზე.

მეორე ნაწილის პირველ სტრიქონში **ენა** მომხმარებელმა ჩამოსაშლელ სიაში უნდა შეარჩიოს ის ენა, რომელზეც უნდა იყოს გამოსახული მოძიებული ინტერნეტ-გვერდი.

მეორე ნაწილის მეორე სტრიქონში **რეგიონი** მომხმარებელმა ჩამოსაშლელ სიაში უნდა შეარჩიოს ის რეგიონი, რომელშიც უნდა მდებარეობდეს მოძიებული ინტერნეტ-გვერდი.

მეორე ნაწილის მესამე სტრიქონში **ფაილის ფორმატი** მომხმა- რებელმა მარცხენა ჩამოსაშლელ სიაში უნდა შეარჩიოს წინადაღება

**მხოლოდ** ან **გამორიცხევა** და მარჯვენა ჩამოსაშლელ სიაში კი საძიებელი ფაილის ფორმაზი.

მეორე ნაწილის მეოთხე სტრიქონში **თარიღი** მომხმარებელმა ჩამოსაშლელ სიაში უნდა შეარჩიოს თუ რომელი ინფორმაციის მოძიება სურს – **გასული 24 საათის**, **კვირის**, **თვის** თუ **წლის**.

მეორე ნაწილის მეხუთე სტრიქონში **გამოჩენა** მომხმარებელმა ჩამოსაშლელ სიაში უნდა შეარჩიოს თუ საძიებო სიტყვები/წინადადება სად უნდა ჩანდეს – **გვერდის სათაურში**, **გვერდის ტექსტში**, **გვერდის ინტერნეტ მისამართში** თუ **გვერდის ბმულებში**.

მეორე ნაწილის მეექვსე სტრიქონში **დომეინები** მომხმარებელმა მარცხენა ჩამოსაშლელ სიაში უნდა შეარჩიოს წინადადება **მხოლოდ** ან **გამორიცხევა** და მარჯვენა ჩამოსაშლელ სიაში კი რომელ დომეინებში ეძებოს (მაგ., .com – კომერციული გვერდები, .edu – საგამნათლებლო გვერდები, .ge – საქართველოს გვერდები და სხვ.).

ფანჯრის ქვედა ნაწილი **სპეციფიკური გვერდების ძებნა** შედგება ორი სტრიქონისაგან.

პირველ სტრიქონში **მაგვარი** მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს ყველა ის ინტერნეტ-მისამართები, რომლის მსგავსიც უნდა იყოს საძიებელი ინტერნეტ-გვერდი.

მეორე სტრიქონში **ბმულები** მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს ყველა ის ინტერნეტ-მისამართები, რომელსაც გააჩნია ჩაწერილი ბმული.

თუ მომხმარებელი დააჭირს **პარამეტრებს**, მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიც შესაყვანია Google-ს **ძირითადი პარამეტრები**.

ეს პირველ რიგში არის Google-თან ურთიერთობის **ინტერფეის** კის ენა, რომელიც მომხმარებელს შეუძლია შეარჩიოს სიაში. და



**ძიების ენა**, რომელშიც მომხმარებელმა უნდა მიუთითოს თუ რომელ ენას ანიჭებს უპირატესობას ძიების პარამეტრების მიცემისას.

შემდეგ ნაწილში **შეღებების რაოდენობა** მომხმარებელი უთითებს თუ ერთდროულად რამდენი შეღეგი აჩვენოს ინტერნეტ-გვედრები.

ბოლო ნაწილში **შეღებების ფანჯარა** მომხმარებელი უთითებს თუ სად გამოვიდეს მოძიებული ინტერნეტ-მისამართები – ახალ თუ იმავე ფანჯარაში.

თუ მომხმარებელი დაჭრს **ენათა ინსტრუმენტებს**, მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიც მომხმარებელს შეუძლია შეარჩიოს Google-თან ურთიერთობის ენა.

ესლა განვიხილოთ ის მეთოდები, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია პირდაპირ საძიებო სტრიქონში შეიყვანოს გაძლიერებული ძებნის პარამეტრები.



თუ მომხმარებელს უნდა დავისვენოს ჰავაის კუნძულებზე და თან გოლფიც ითამაშოს, სამიებო სტრიქონში უნდა აიკრიფოს **vacation Hawaii golf** და არა ცალკე რომელიმე ამ სიტყვიდან, რომლის შემდეგ კიდევ მოძებნილში ძებნა.

სამიებო სტრიქონში დაწერილი სიტყვები არ რეაგირებენ რეგისტრზე (ანუ ერთიდაიგივედ აღიქვება სიტყვები: **george, George** და **gEoRgE**).

სამიებო სტრიქონში დაწერილი სიტყვებს შორის ავტომატურად იგულისხმება ლოგიკური და.

სამიებო სტრიქონში დაწერილი საერთო სიტყვებს უკეთდება იგნორირება (მაგ., **სადაც, როდესაც** და **სხვ.**). თუ სიტყვა აუცილებელია მას წინ ეწერება +, ხოლო თუ წინადადება მთლიანად საჭიროა იგი უნდა ჩაისვას ბრჭყალებში.

Google-ს დიდი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ეძებს მსჯავსი სიტყვების მეშვეობითაც (მაგ., **რა გაჭამოთ ძაღლს** თუ დავწერთ Google აგრეთვე ეძებს **ძაღლის საჭმელი**).

თუ ძიებაში მომხმარებელს უნდა გამორიცხოს რაიმე სიტყვა, მას წინ - უნდა დაეწეროს (მაგ., ვეძებთ პოლიტიკურ ნოტას, მაშინ უნდა დაიწეროს **ნოტა -მუსიკა**).

თუ ძიებაში მომხმარებელს უნდა მოიძიოს რამოდენიმე ალტერნატივა, უნდა გამოიყენოს სიტყვა **OR** (მაგ., პარიზში ან ლონდონში სასტუმროს ძებნისას, უნდა დაიწეროს **სასტუმრო პარიზი OR ლონდონი**).

საძიებო სტრიქონში თუ მომხმარებელს უნდა მიუთითოს კონკრეტული ინტერნეტ-გვერდი, ამისათვის მან წინ უნდა დაწეროს სიტყვა **site:** (მაგ., **მიღების წესები site:www.cu.edu.ge**).

თუ მომხმარებელს უნდა განახორციელოს ძებნა რიცხვით (ან ფულად და სხვ.) დიაპაზონში, მან ეს რიცხვები უნდა გაოყოს ორი წერტილით .. (მაგ., **მაციგარი 300..500 ლარი**).

დაცული ძებნის განხორციელებისას გამოირიცხება ინტერნეტ-გვერდები, რომლებიც მხოლოდ უფროსებისათვის არის განკუთვნილი (და არა ბავშვებისათვის).

## ელექტრონული ფოსტა

როგორც უკვე აღინიშნა ინტერნეტის ძირითადი დანიშნულებებია სასურველი ინფორმაციის მოძიება/გამოქვეყნება და ელექტრონული წერილების მიღება/გაგზავნა.

განვიხილოთ ელექტრონული წერილების მიღება/გაგზავნა. პირველ რიგში მომხმარებელი უნდა შევიდეს იმ ინტერნეტ გვერდზე, რომელზეც მას განთავსებული აქვს ელექტრონული წერილების სისტემა. თუ მომხმარებელს ჯერ არ გააჩნია იგი, მას შეუძლია

გახსნას ახალი ფოსტა ნებისმიერ საფოსტო ინტერნეტ-გვერდზე (მაგ., *posta.ge*, *hotmail.com*, *mail.ru*, *google.com* და სხვ.).



მაგალითად განვიხილავთ კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტას. ამისათვის მომხმარებელმა ინტერნეტ-გვერდის სამისამართო ბოლში უნდა აკრიფოს **cu.edu.ge** და დააჭიროს **Enter-ს**. გახსნილ ინტერნეტ-გვერდზე ქვედა-მარჯვენა მიდამოში უნდა გააქტიურდეს ნიშნაკი **WEB MAIL** წერილის ნახატის გამოსახულებით, რომლის შემდეგაც პროგრამა გადავა შემდეგ ინტერნეტ-გვერდზე, სადაც მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს თავის საფოსტო მისამართის სახელი **UserID** და პაროლი **Password**. კავკასიის უნივერსიტეტის შემთხვევაში ელექტრონული წერილების მისამართს აქვს შემდეგი სახე **userid@cu.edu.ge**. რაც შეეხება პაროლს, იგი უნდა იცოდეს მხოლოდ მომხმარებელმა, რადგან ვისაც მას გაუმხელთ, მათ ყოველთვის შეეძლებათ თქვენი წერილების წაკითხვა, წაშლა, პაროლის შეცვლა და სხვ.



თუ მომხმარებელი იმყოფება ისეთ კომპიუტერზე, რომელზე-დაც სხვაც მუშაობს, არასოდეს ჩართოთ **Auto Login**, რომელიც იმყოფება ქვედა-მარჯვენა მიდამოში, რადგან მაგის ჩართვის შემთხვევაში შესაძლებელია შემდგომში პაროლის მითითების გარეშეც წერილების ფორმატირების გაკეთება.


სახელისა და პაროლის შეყვანის შემდეგ ინტერნეტ-გვერდზე გამოისახება წერილების ფორმატირების სტანდარტული ფანჯარა. განვიხილოთ ამ ფანჯარასთან ურთიერთობის ძირითადი ფუნქციები.

პირველ სტრიქონში გამოსახულია ჩამოსაშლელი სტრიქონი, რომლიდანაც შესაძლებელია გადასვლა წერილების დასათვალიერებლად: **შემოსული, არქივის, გაგტაგნილი, გასაგგავნი, წასაშლელი, სპამი და ვირუსები**. ფრჩხილებში პირველი ციფრი გამოსახავს წასაკითხს წერილების, ხოლო მეორე – სულ წერილების რაოდენობას.

გაყოლებაზე სტრიქონში დაწერილია თუ როგორ არის გამოყენებული სერვერის მიერ გამოყოფილი სივრცის ლიმიტი.

მეორე სტრიქონს (რადგან იგი ძირითადია) დაუბრუნდეთ შემდგომში.

ინტერნეტ-გვერდის შეა ნაწილში გამოსახულია ელექტრონული წერილების ჩამონათვალი შემდეგი სურტების მიხედვით: **წერილის სტატუსი, თემა, გამგზავნი, თარიღი, ბომა და მონიშვნის სტატუსი.**



**წერილის სტატუსი** სვეტში გამოსახულია წაკითხულია თუ არა სტრიქონში მდებარე წერილი. თუ სტრიქონში გამოსახული კონვერტი დახურულია, ე.ო. წერილი წასაკითხია, ხოლო თუ დიაბ – წაკითხული. თუ კონვერტის გვარდზე გამოსახულია სკრეპი, ე.ო. წერილს თან ახლავს თანდართული ფაილი. თუ სტრიქონში გამოსახულ კონვერტს მიხატული აქვს შინდისფერი ისარი, ე.ო. წერილზე პასუხი გაგზავნილია. თუ მომხმარებელს სურს დაალაგოს წერილების სია

წერილის სტატუსის მიხედვით (ანუ ჯერ წასაკითხი და შემდეგ წაკითხული წერილები ან პირიქით) მან მაუსის საშუალების უნდა გააძლიეროს სვეტის სათავეში მდებარე ოქროსფერი კონვერტი, რის შემდეგაც სტატუსი შეიცვლება. თუ მომხმარებელმა გაააქტიურა სტრიქონში მდებარე კონვერტი, სტრიქონში მდებარე წერილის სტატუსი შეიცვლება წაკითხულიდან – წასაკითხებე ან პირიქით წასაკითხი – წაკითხულზე.

**თემის** სვეტში გამოსახულია გამოგჩავნილი წერილების თემატიკის დასახელება (რომელსაც შეავსებს გამოგჩავნი). აქაც სათაურზე დაჭერისას წერილების დალაგდება თემატიკის ანბანის ბრდადობის მიხედვით, ხოლო ხელმეორედ დაჭერისას – თემატიკის ანბანის კლებადობის მიხედვით. თუ მომხმარებელმა გაააქტიურა სტრიქონში მდებარე თემის დასახელება, მონიტორის ეკრანზე გამოისახება სტრიქონში მდებარე წერილის შიგთავსი.

**გამგბავნის** სვეტში გამოსახულია გამოგბავნის ვინაობა. აქაც სათაურზე დაჭერისას წერილები დალაგდება გამოგბავნის ანბანის ბრდადობის მიხედვით, ხოლო ხელმეორედ დაჭერისას – გამოგბავნის ანბანის კლებადობის მიხედვით. თუ მომხმარებელმა გაააქტიურა სტრიქონში მდებარე გამოგბავნის სახელი, მონიტორის ეკრანზე გამოისახება სტრიქონში მდებარე გამოგბავნისათვის ახალი წერილის გაგტავნის ფანჯარა.


**თარიღის** სვეტში გამოსახულია წერილის გამოგბავნის თარიღი. აქაც სათაურზე დაჭერისას წერილები დალაგდება გამოგბავნის თარიღის ბრდადობის მიხედვით, ხოლო ხელმეორედ დაჭერისას – გამოგბავნის თარიღის კლებადობის მიხედვით.

**გომის** სვეტში გამოსახულია გამოგბავნილი წერილის გომა. აქაც სათაურზე დაჭერისას წერილები დალაგდება გომის ბრდადობის მიხედვით.

მიხედვით, ხოლო ხელმეორედ დაჭერისას – ზომის კლებადობით.


**მონიშვნის სტატუსის** სვეტში მომხმარებელს ეძღვევა საშუალება მონიშნოს წერილები ჯგუფური ფორმატირებისათვის (წაშლა, გადაწერა, გადატანა და სხვ.).

ინტერნეტ-გვერდის ქვევით მდებარე სტრიქონის მის მარცხენა მიდამოში მომხმარებელს შეუძლია მოიძიოს წერილები იმის



და მიხედვით, თუ ვისგან მიიღო წერილი, ვის გაუგზავნა, თემატიკის, თარიღის, დართული ფაილების სახელის, თავსართის, გექსტური შინაარსის ან ამ ყველაფრის მიხედვით.

სტრიქონის შუა მიდამოში მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს თუ რომელ გვერდზე სურს გადასვლა ან + დაჭერით ნახოს 1000 წერილი ერთად (+ დაჭერისას გამისახება -, რომელზეც დაჭერისას სია ბრუნვება ძველ მდგომარეობაში).




სტრიქონის მარჯვენა მიდამოში მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს თუ სად (რომელ ფოლდერში) უნდა გადაიტანოს ან გადაიწეროს მონიშნული წერილები. ეს შესაძლებელია შემთხვეულის, არქივის, გაგზავნილის, გასაგზავნის, წასამლელის, სპამის და ვირუსების ფოლდერებში ან გადააგზავნოთ, ან წაშალოთ. წასამლელად ასევე მომხმარებელს შეუძლია წერილების მონიშვნის შემდეგ გააქტიუროს ჩედა-მარჯვენა მიდამოში მდებარე To Trash ღილაკი.

**To Trash** ღილაკი.

განვიხილოთ მთავარი მენუს გოლი.



მთავარი გოლის პირველი დილაკი **ახალი** გამოიყენება ახალი ელექტრონული წერილის შესაქმნელად. ამ დილაკის გააქტიურებისას



მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა **Compose Message**.

მოცემულ ფანჯარაში პირველ სტრიქონში მარცხნივ გამოსახულია წინა გვერდზე დასაბრუნებელი (**Back**) და განახლების (**Refresh**) ღილაკები, ხოლო მარჯვნივ – **შრიფტის კოდირება**.

შემდეგ სტრიქონში **From** და **Priority** გამოისახება მომხმარებლის ელექტრონული მისამართი და ჩამოსაშლელ ფანჯარაში მისათითებელი წერილის პრიორიტეტი (**სასწრაფო, ჩვეულებრივი, არასასწრაფო**).

შემდეგ სტრიქონში **To** მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს იმ პიროვნების ელექტრონული მისამართი, ვისაც უგბავნის წერილს (აქ

შესაძლებელია რამოდენიმე მისამართის ერთდროულად მითითება, რომლებიც მძიმით იქნებიან გამოყოფილი). თუ მომხმარებელი გაა-აქტიურებს გვერდზე მდებარე გადაშლილი წიგნის ნიშნაქს, მას შეუძლია სამისამართო წიგნიდან ამოიღოს მისამართი და იგი ავტომატურად ჩაიწერება სტრიქონში.

შემდეგ სტრიქონში **CC** და **BCC** მომხმარებელს აგრეთვე შეუძლია დამატებითად შეიყვანოს იმ პიროვნების ელექტრონული მისამართი, ვისაც უნდა რომ გაუგზავნოს წერილი.

შემდეგ სტრიქონში **Reply-To** მომხმარებელს შეუძლია შეიყვანოს იმ ელექტრონული წერილის მისამართი, სადაც უნდა რომ მიიღოს პასუხი ამ წერილზე. თუ მომხმარებელმა ჩართო **Confirm Reading**, მაშინ გაგზავნილი წერილის ადრესაგის მიერ გახსნისთანავე მომხმარებელს მოუვა შეტყობინება ამის შესახებ.


შემდეგ სტრიქონში **Attachment** მომხმარებელს შეუძლია შეიყვანოს იმ ფაილების მიმართვის გზა, რომელიც მას უნდა, რომ გააყოლოს წერილს. რის შემდეგაც უნდა გაააქტიუროს ღილაკი **დამატება (Browse...)** ღილაკის მეშვეობით შესაძლებელია გასაგზავნი ფაილის მოძიება). შესაძლებელია ერთდროულად რამოდენიმე ფაილის დამატება თუ ყოველი ფაილის მოძიების შემდეგ მომხმარებელი გაააქტიურებს ღილაკს **დამატება**.

შემდეგ სტრიქონში **Subject** მომხმარებელმა უნდა მიუთითოს წერილის თემა, რათა მიმდები მიხვდეს, რომ თქვენი სახელით არ დებულობს სპამს ან ვირუსს და დაახლოებით მაინც მიხვდეს წერილის თემას. თუ მომხმარებელი ჩართავს **Backup send message**, აღნიშნული წერილი დამახსოვრებული იქნება **Send** ფოლდერში და შემდგომში მომხმარებელს ყოველთვის ექნება შესაძლებლობა ნახოს იგი.

შემდეგ სტრიქონში **გაგბავნა** ღილაკის დაჭერისას წერილი გა-  
ეგბავნება მითითებულ ადრესას. გაგბავნამდე მომხმარებელს შეუძ-  
ლია **გასაგბავნის შენახვა**, ჩამოსაშლელ სიაში შერჩეული ენით **მარ-  
თლწერის** შემოწმება, **წერილის ფორმატის** მითითება ან **უარყოფა**.

ფანჯრის შეაში მდებარე მიღამოში მომხმარებელმა უნდა შეი-  
ტანოს თვით წერილის ტექსტი.


მთავარი ბოლის მეორე ღილაკი **საქაღალდე** გამოიყენება ახა-  
ლი ფოლდერის გახსნისათვის ან ბევრი ფოლდერების ფორმატირები-  
სათვის (აღნიშვნა როგორც **წაკითხული, ინდექსირება, სახელის  
გადარქმევა ან წაშლა**).



მთავარი ბოლის მესამე ღილაკი **ფილტრი** გამოიყენება გაფილ-  
ტრული ფაილების ფორმატირებისათვის.

მთავარი ბოლის მეოთხე ღილაკი **POP3** გამოიყენება წერილე-  
ბის ამ პროტოკოლის გამოყენებით დათვალიერებისათვის.


მთავარი გვერდის მექუთე დილაკი **AdvSearch** გამოიყენება წერილების დამატებითი საშუალებებით მოძიებისათვის.



ამისათვის მომხმარებელმა უნდა მონიშნოს თუ რომელ ფოლდერში უნდა ძიების განხორციელება, შეარჩიოს თარიღის შეალები (ან ჩამოსაშლელ სიაში შეარჩიოს ბოლო რომელი პერიოდი აინტერვალს) და სად, რა პირობით და რა ტექსტი უნდა, რომ მოძებნოს. ძიების შედეგი გამოისახება ამავე ფანჯარაში.

მთავარი გვერდის მექუთე დილაკი **Refresh** გამოიყენება ფანჯარის განახლებისათვის.


მთავარი გვერდის მეშვიდე დილაკი **AddrBook** გამოიყენება სამისამართო წიგნის ფორმატირებისათვის.



გახსნილი ფანჯრის მარცხენა-ზედა მიღამოში გამოისახება შემდეგი ღილაკები:



პირველი ღილაკის ახალის გააქტიურებისას მონიტორის




ეკრანზე გამოისახება პიროვნებაზე ინფორმაციის შემთანი ფანჯარა, რომელშიც შესაძლებელია მრავალი სახის ინფორმაციის შეტანა.

მეორე ღილაკის **NewGroup** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიდაც მომხმარებელს შეუძლია დაუმატოს ახალი ჯგუფი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება პიროვნების დაყოფა ელექტრონული წერილების მისამართებისა და ჯგუფის აღწერილობის მითითებით.

მესამე ღილაკის **Books** გააქტიურებისას მონიტორის ეკრანზე გამოისახება ფანჯარა, რომელშიდაც მომხმარებელს შეუძლია დაუმატოს ახალი მისამართი სამისამართო წიგნში.

ნ.ამილახვარი, გ.ამილახვარი - შესავალი ინტერნეტში




თუ მომხმარებელს სურს თავისი სამისამართო წიგნი გადაიტანოს სხვა ელექტრონულ ფოსტაში ან გადმოიტანოს სხვა ელექტრონული ფოსტიდან, მან უნდა გამოიყენოს შემდეგი დილაკები **Import** და **Export**.




მექენეს ღილაკის **WebMail** გააქტიურებისას პროგრამა დაბრუნდება საწყის (მთავარ) გვერდზე.

დანარჩენი ღილაკები მეორდება მთავარ გვარდზე და მათი განხილვა იქ არის შესაძლებელი.

## ნ.ამილახვარი, გ.ამილახვარი - შესავალი ინტერნეტში




ღილაკის **Calendar** გააქტიურებისას მომხმარებელს ეძლევა საშუალება წლების, თვეების, კვირების, დღეების ან სიის მიხედვით გააკეთოს თავისი საქმიანი დღის გურნალის ფორმატირება.



ღილაკის **WebDisk** გააქტიურებისას მომხმარებელს ეძლევა საშუალება შექმნას (ან უკვე შექმნილს გაუკეთოს ფორმატირება) ინტერნეტ სივრცეში დისკი (ფოლდერი), რომელშიც ექნება შესაძლებლობა გადაიტანოს/გადაიწეროს ფაილები და სურვილისა-მებრ გაუწიოს ფორმატირება ნებისმიერი კომპიუტერიდან, .

დილაკის **Pref** გააქტიურებისას მომხმარებელს ეძღვავა საშუალება დაათვალიეროს პირადი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია ინტერნეტ-სივრცეში ამ პროგრამის მეშვეობით და სურვილისამებრ გაუკეთოს მას ფორმატირება.

ბოლო დილაკის **Logout** გააქტიურებისას მომხმარებელი გამოვა აღნიშნულ პროგრამიდან.



## შინაარსი

ინტერნეტის საფუძვლები	3
საძიებო სისტემები	4
ელექტრონული ფოსტა	10